



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კვაჭაძე გიორგი ალექსის ძე

კვაჭაძე გიორგი ალექსის ძე [28. II(13.III). 1909, ჭიათურა, – 6. IX. 1993, თბილისი], აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი და პროფესორი (1961), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1931 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. 1934-46 იყო საქართვე. მემინდვრეობის ინ-ტის დირექტორი, 1955-იდან – საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის მებოსტნეობის კათედრის გამგე. კ-მ დაამუშავა ბოსტნეული კულტურების დამუღწვის წესი, თბილ. საგარეუბნო ზონაში შემოდგომაზე დარგული კომბოსტოს და დათესილი ხახვის აგროტექნიკა, დაადგინა შემოდგომა-ზამთრის ბოსტნის კულტურათა ასორტიმენტი და სხვ. გამოცემულია კ-ის „მებოსტნეობის სახელმძღვანელო“ (1959, 1965), მისი თანაავტორობით – „სოფლის მეურნეობის საფუძვლები“ და „ხილ-ბოსტნეულის ჯიშთმცოდნეობა“. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

**გ. თოდუა**

---